გაკვეთილის გეგმა

მასწავლებელი: ნათელა მაჭარაშვილი	
საგანი: ისტორია	**კლასი:** XI[1]
თემა: უძველესი სამდინარო ცივილიზაციებიდან ინკების ცივილიზაციამდე	**დრო:** 80 წუთი.
მოსწავლეთა პროფილი: საშუალო **მოსწავლეთა რაოდენობა-**21 კლასში არ არის სსსმ მოსწავლე	
გაკვეთილის მიზანი: - მოსწავლეებმა კონკრეტული ცივილიზაციის საფუძველზე დაახასიათონ /შეაფასონ საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიულ სივრცეები(კონკრეტული სივრცე, ქალაქები...); - მოსწავლეებმა გამოკვეთონ ინკების ცივილიზაციის /საზოგადოების თავისებურებები(იდენტობის საშუალებები,ყოველდღიურობა, სოციალური ჯგუფები...),დააკავშირონ სხვა ისტორიული პერიოდის ცივილიზაციებთან და შეაფასონ ეს პროცესი; - მოსწავლეებმა კონკრეტული ცივილიზაციის საფუძველზე გაანალიზონ/შეაფასონ ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხები(სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები,ძალაუფლების დანაწილება...); **სამიზნე ცნებები-**სივრცე-მ.წ.2,3; -საზოგადოება-მ.წ.1,2,3; -ძალაუფლება-მ.წ.1,2,3,4;	

მოსალოდნელი შედეგები :

–მოსწავლეები კონკრეტული ცივილიზაციის საფუძველზე შეძლებენ დაახასიათონ და შეაფასონ ის კონკრეტული სივრცეები, სადაც მოხდა ამ ცივილიზაციის ჩამოყალიბება;

–მოსწავლეები შეძლებენ გამოკვეთონ ინკების ცივილიზაციის/საზოგადოების თავისებურებები და სხვა ისტორიული პერიოდის ცივილიზაციებთან დაკავშირება და შეფასება;

–მოსწავლეების კონკრეტული ცივილიზაციის საფუძველზე შეძლებენ გააანალიზონ და შეაფასონ ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხები;

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი:

ისტ.საშ.2 ისტორიული მოვლენების ანალიზისას ქრონოლოგიური ერთეულებისა და ისტორიულ–გეოგრაფიული ტერმინების ადეკვატური გამოყენება; ისტორიულ პროცესებზე სივრცე–დროითი ასპექტების კვლევა ცვალებადობის ფენომენის გასააზრებლად;

ისტ.საშ.3 ისტორიული მოვლენის/პროცესების კლასიფიცირება და ტიპოლოგიური დაჯგუფება (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. ნიშნით) სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასა და თანამედროვეობაში არსებული ტიპურად მსგავსი მოვლენებისა და პროცესების ურთიერთდაკავშირებულად განსახილველად;

ისტ.საშ.5 ისტორიული მოვლენების და პროცესების დანახვა/შეფასება როგორც კონკრეტულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების თვალით, ასევე ეპოქისგან დისტანცირებით ერთი მხრივ ეპოქის უნიკალობის, მეორე მხრივ კი უნივერსალურ იდეათა განვითარების კანონზომიერებების გასააზრებლად.

საჭირო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები:

წინარე ცოდნა - მოსწავლეებმა იციან ცივილიზაციის არსი, შესწავლილი აქვთ უძველესი სამდინარო ცივილიზაციები და საკითხთან მიმართებაში ჩამოყალიბებული აქვთ საკუთარი ხედვა;

კონკრეტული უნარები, რომლებსაც უნდა ფლობდეს მოსწავლე ახალი მასალის ასათვისებლად:

-კონკრეტული ისტორიული ფაქტების ანალიზისა და შეფასების უნარი;
-თემიდან ძირითადი საკითხების გამოყოფა-გააზრება- შეფასების უნარი;
-კრიტიკულად აზროვნების უნარი;
-მსჯელობისა და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი;
-საკუთარი აზრის ან ინფორმაციის ზეპირად თუ წერილობით გადმოცემის უნარი;
-ფაქტებისა თუ მოვლენების შესაბამის ისტორიულ ეპოქასთან დაკავშირების უნარი;

კლასის ორგანიზების ფორმა:ინდივიდუალური,ჯგუფური;

შეფასება:

- განმავითარებელი შეფასება მიზნის შესაბამის კრიტერიუმებზე დაყრდნობით;

მიზნის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები:

კრიტერიუმები	**სრულად**	**ნაწილობრივ**
მოსწავლეებმა ინკების ცივილიზაციის საფუძველზე დაახასიათეს/შეაფასეს ამ ცივილიზაციასთან დაკავშირებული ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცე;		
მოსწავლეებმა გამოკვეთეს ინკების საზოგადოების თავისებურებები,დააკავშირეს სხვა ისტორიული პერიოდის ცივილიზაციებთან და შეაფასეს ეს პროცესი;		
მოსწავლეებმა გაანალიზეს/შეაფასეს ინკების ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხები;		

სასწავლო მასალა და რესურსები:

-ისტორია-მე-11 კლასი-მოსწავლის წიგნი.

-კომპიუტერი;

-პროექტორი;

-ფლიპჩარტები;

-მარკერები;

-მაგნიტები;

-თაბახის ფურცლები;

რესურსების ლინკები მოცემულ დროზე:20.03 2023

HTTPhttps://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90#/media/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Expansion_Imperio_Inca-1-.JPG

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90#/media/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Portrait_of_Francisco_Pizarro_(cropped).png

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90#/media/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Inca-Spanish_confrontation.JPG

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90#/media/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Luis_Montero_-_The_Funerals_of_Inca_Atahualpa_-_Google_Art_Project.jpg

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90#/media/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Tupaq_amarup_umanta_kuchunku.gif

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90#/media/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Ataw_Wallpa_portrait.jpg

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90#/media/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Inti_Torre_Tagle.png

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90#/media/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Mur_Inca_D%C3%A9cembre_2007.jpg

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90#/media/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Peru_Machu_Picchu_Sunrise_2.jpg

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90#/media/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Pisac_Terrassen_medium.jpg

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90#/media/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Patates.jpg

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90#/media/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Inca_Quipu.jpg

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90#/media/%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98:Tupa-inca-tunic.png

https://www.google.com/search?q=%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%97%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98+%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91&tbm=isch&source=univ&fir=PMyeN6oawyDKwM%252CiEXp1-IEBeWHcM%252C

_%253BFKHq_Ryh658IYM%252CiEXp1-IEBeWHcM%252C_%253BFZsaDMbty4gD8M%252Cvs9RSKrFnQzZTM%252C_%253BVcm0Zu2ubc9gzM%252Ct9IYLbHrBFEbRM%252C_%253BzXggINlVzhP7HM%252CL0VGO5xqIyfXMM%252C_%253BYYolqrNYm8ltsM%252Cvs9RSKrFnQzZTM%252C_%253BHs7tcpRmcJgWQM%252Cvs9RSKrFnQzZTM%252C_%253BZ5Xsvwcg46xupM%252Cvs9RSKrFnQzZTM%252C_%253BFKGNU9fIJVxqZM%252Cvs9RSKrFnQzZTM%252C_%253BjZm_ARUTPgYYjM%252Cvs9RSKrFnQzZTM%252C_&usg=AI4_-kSs5yOtVqOtHZgPuo7Qy4nTcaOPsg&sa=X&ved=2ahUKEwjn_-eJr5T9AhXNXfEDHe7lAOkQ7Al6BAgIEBA&biw=1366&bih=612&dpr=1#imgrc=W6AMRaSwWzqpbM&imgdii=hiKce1hwowvgIM

https://1tv.ge/news/atakamis-udabnoshi-inkebis-udzvelesi-kalendari-aghmoachines/

https://1tv.ge/news/inkebis-imperatorta-warmomavlobis-gasarkvevad-peruelma-mecnierebma-mati-dnm-sheiswavles/

https://www.google.com/search?q=%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D&sa=X&biw=1366&bih=600&tbm=isch&source=iu&ictx=1&vet=1&fir=WY0qmECoymj41M%252CE-VZ-RdX7OGwqM%252C%252Fm%252F0jld3&usg=AI4_-kQe07S60MqdGgRfVEnj9tRCX0PBXA&ved=2ahUKEwiB4MGFvZT9AhUiRvEDHW5CCtAQ_B16BAhLEAE#imgrc=oOzrwNFwfNPnjM

S://WWW.YOUTUBE.COM/WATCH?V=-RIOEWWNIJK

აქტივობა #1-,,საგამოფენო დარბაზი"-სურათებით აწყობილი ისტორია

აქტივობის აღწერა-კედელზე დაფიქსირებულია დანომრილი თემატური სურათები. მოსწავლეებს ვაძლევ ინსტრუქციას:

-თქვენ იმყოფებით ,,საგამოფენო დარბაზში ''და გაქვთ შესაძლებლობა დაათვალიეროთ უნიკალური ფოტოსურათები;

-ჩაინიშნეთ სურათებზე დატანილი ინფორმაცია(თქვენი თვალით დანახული),რადგან თქვენ უნდა შექმნათ ამ სურათებზე დაყრდნობით მოკლე სიუჟეტი,,სურათებით აწყობილი ისტორია";

-თქვენ შეგიძლიათ სიუჟეტში გამოიყენოთ ყველა სურათი ან სურათების ნაწილი;

-სურათების დათვალიერებისა და პირველადი წარმოდგენის შექმნის შემდეგ დაუბრუნდით თქვენს ადგილს და ჯგუფმა ერთად შეაჯერეთ ინფორმაცია/სიუჟეტი;

-წარმოადგინეთ თქვენი სიუჟეტი კლასის წინაშე;

-დაიცავით წესრიგი-საგამოფენო დარბაზში ეს ძალიან მნიშვნელოვანია;

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები თავიანთი შეხედულებით შექმნიან პირველად სიუჟეტს , რომელიც საგაკვეთილო თემას ეხება(თუმცა მათ ეს თემა ჯერ არ იციან) და ინტერესით დაელოდებიან სიუჟეტის გაგრძელებას;

ჯგუფების მიერ წარმოდგენილი სიუჟეტების შემდეგ მოსწავლეებს განვუმარტავ, რომ დროებით ღიად დავტოვოთ სიუჟეტი, რომელსაც მოგვიანებით კვლავ დავუბრუნდებით.

აქტივობა#2-შემთხვევის ანალიზი-ქეისებით სწავლება

აქტივობის აღწერა-მოსწავლეებ განვუმარტავ, რომ წავუკითხავ კონკრეტულ შემთხვევებს უძველესი ცივილიზაციების შესახებ და მათ უნდა ამოიცნონ, რომელ ცივილიზაციაზეა საუბარი და მოკლედ გააგრძელონ რეალური ისტორია(შემთხვევები ეხება უძველესი ცივილიზაციების სივრცეს, საზოგადოებასა და ძალაუფლებას);

აქტივობის მიზანი- მოსწავლეები გაიხსენებენ უძველეს სამდინარო ცივილიზაციებს ,რაც მათ გაუადვილებთ ლოგიკურ ბმას საგაკვეთილო თემასთან მიმართებაში;

აქტივობა#3-გაკვეთილის თემის, მიზნის, სამიზნე ცნებებისა და შეფასების კრიტერიუმების გაცნობა;

აქტივობის აღწერა-მოსწავლეებს გავაცნობ საგაკვეთილო თემას, მიზანს,სამიზნე ცნებებსა და შეფასების კრიტერიუმებს.პარალელურად, ამობეჭდილ ვერსიას ვაფიქსირებ დაფაზე.

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები ყურადღების კონცენტრაციას მოახდენენ გაკვეთილის თემისა და მიზნის ირგვლივ და იმუშავებენ შესაბამისად.

დროის მენეჯმენტი-1 წთ.

აქტივობა#4-შეარჩიე კონვერტი;ტექსტის მაკროსტრუქტურა;

აქტივობის აღწერა-მოსწავლეები შეარჩევენ კონვერტებს,სადაც განთავსებულია სამიზნე ცნებების შესაბამისი (*სივრცე, საზოგადოება, ძალაუფლება)საკითხავი მასალამოსწავლეებს რძლევათ ინსტრუქცია, რომ დაამუშავონ და შექმნან ტექსტის მაკროსტრუქტურა.აქვე ვაძლევ მაკროსტრუქტურის განმარტებას, რომელსაც ვაფიქსირებ დაფაზე, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ შეხსენების შესაძლებლობა.

ტექსტის მაკროსტრუქტურა-ეს არის დიდი ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი მოკლე ინფორმაცია, რომლითაც ტექსტზე წარმოდგენა მაინც შეგვექმნება.ამისათვის:

-წაშალეთ ტექსტში ინფორმაცია, რომელიც ნაკლებად ღირებულია;

-წაშალეთ ზედმეტი ინფორმაცია;

- ტექსტის გარკვეული ნაწილი შეგიძლიათ ჩაანაცვლოთ(მაგ.კონკრეტული ზოგადით);

-ზოგიერთი ნაწილი დატოვეთ(ყველაზე მნიშვნელოვანი);

-ზოგიერთი ნაწილის პერიფრაზირება მოახდინეთ;

ტექსტის მაკროსტრუქტურა ჯგუფებმა უნდა დააფიქსირონ დაფაზე **,,ცივილიზაციის ხეზე,,;**

აქტივობის მიზანი- მოსწავლეებს შეექმნებათ პირველადი წარმოდგენა ინკების ცივილიზაციაზე და ტექსტის მაკროსტრუქტურით დამსწრე საზოგადოებასა და ერთმანეთს შეუქმნიან წარმოდგენას ამ ცივილიზაციაზე სამი მიმართულებით- კონკრეტულ სივრცეზე, სადაც მოხდა ინკების ცივილიზაციის ჩამოყალიბება,ინკების საზოგადოების თავისებურებებსა და ძალაუფლების ფენომენზე;

აქტივობა#5-მინი-ლექცია ინკების კანონმდებლობის შესახებ-პარალელების გავლება თანამედროვეობასთან(ჩვენს ქვეყნის კანონმდებლობასთან);

აქტივობის აღწერა-მოსწავლეებს განვუმარტავ, რომ ნაწილობრივი წარმოდგენა კი შეგვექმნა ინკების შესახებ, მათი სივრცის, საზოგადოებისა თუ ძალაუფლების შესახებ,მაგრამ ეს ცივილიზაცია ვერ შედგებოდა, რომ არა ერთიანი კანონმდებლობა, რომელსაც ყველა და ყველაფერი ემორჩილებოდა და ახლა ამ კანონის სპეციფიკაზე გავამახვილებ ყურადღებას.მე გთავაზობთ ამონარიდებს კანონმდებლობიდან, თქვენ კი გევალებათ პარალელების გავლება საქართველოს კანონმდებლობასთან :

-ხელისუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით საპა ინკას გააჩნდა ინსპექტორთა მთელი სამსახური,რომლებიც ინკოგნიტოდ მოძრაობდნენ. მათ უწოდებდნენ ,,ტოკოი-რიკოკს",რაც ნიშნავს,,ისინი, ვინც ყველაფერს ხედავენ";

-იმპერიაში არავინ შიმშილობს;

-სახელმწიფოს მხრიდან უნდა გამოიყოს ულუფა და ნივთები ქვრივებზე,ობლებზე,შრომისუუნარო ადამიანებზე;

-ნატურალური გადასახადის გადახდა სავალდებულოა;

-ქორწინება სამუდამო უნდა იყოს;

-დაცული უნდა იყოს სისუფთავის უმაღლესი სტანდარტი;

-არა სიზარმაცესა და დროსტარებას;

-მოხუცები სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში უნდა იყონ;

-50 წლიდან ადამიანები თავისუფლდებიან ყოველგვარი გადასახადისგან;

-სწორი კვება მნიშვნელოვანია;

-ქურდობა, ძარცვა,ძალადობა სიკვდილით ისჯება;

ამ ტექსტის მაკროსტრუქტურას ვაფიქსირებთ ცივილიზაციების ხეზე(,,ინკებს ჰქონდათ გამართული კანონმდებლობა,თანამედროვე გადასახედიდანაც კი").

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები გაეცნობიან ინკების კანონმდებლობას,გაავლებენ პარალელს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და გაიფართოებენ ცოდნას ინკების ცივილიზაციის შესახებ ამ კონკრეტული მიმართულებით.

აქტივობა#6-,,უთხარით ინკებს",კიპუ-ინკების დამწერლობა

აქტივობის აღწერა-მოსწავლეებს განვუმარტავ,რომ მათ ინკების ცივილიზაციაზე უკვე შეექმნათ გარკვეული წარმოდგენა და ახლა თითოეულ ჯგუფს ეძლევა შესაძლებლობა, რომ მიმართონ ინკებს ისე, რომ ინკებმა თქვენი აზრი გაიგონ(მაგ.პანტომიმა...)

მოსწავლეების ინკებისადმი მიმართვის შემდეგ მოსწავლეებს ვუსვამ კითხვას:საინტერესოა, როგორ რეაგირებას მოახდენდნენ ინკები თქვენს მესიჯებზე დ მინდა გითხრათ, რომ ინკები პასუხს აუცილებლად დააბრუნებდნენ ფრიად ორიგინალური სახით და მათ წარვუდგენ ჩემ მიერ შექმნილ ინკების დამწერლობის ნიმუშს-კიპუს.აქვე განვუმარტავ, რომ კიპუ არის კვანძოვანი დამწერლობა, რომელიც წარმოადგენს გრძელ

ბაწარზე ჩამოკიდებულ სხვადასხვა ზომისა და ფერის ძაფებს. ფერების შეხამება და კვანძების კომბინაცია გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის ტექსტების დასაფიქსირებლად და მეც ვეტყვი ჩემ სათქმელს ინკებს, რომ ისინი უნიკალურები არიან(კიპუს ვაფიქსირებ ცივილიზაციების ხეზე.აქვე დავამატებ, რომ პერუს ერთ-ერთ ტაძარში აღმოაჩინეს კიპუ, რომელიც 6 კგ-ს იწონიდა.

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები /ჯგუფები გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას ინკების შესახებ და კიდევ უფრო გაიფართოებენ ცოდნას ამ ცივილიზაციის შესახებ ჩემ მიერ შექმნილი/წარმოდგენილი კიპუს დამწერლობის საფუძველზე;

აქტივობა #7-გააგრძელე ინკების ისტორია, შექმენი ნარატიული ჩარჩო;

აქტივობის აღწერა-მოსწავლეებს ვუსვამ კითხვას:თქვენი აზრით, როგორ განვითარდებოდა ინკების ისტორია?ამისათვის თქვენ უნდა გააგრძელოთ ინკების ისტორია.აქვე განვუმარტავ ნარატიული ჩარჩოს შინაარსს, რომ იგი არის კონკრეტული შინაარსის ტექსტი, რომელიც თხრობას შეიცავს.

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს ინკების შემდგომ ისტორიასთან დაკავშირებით და დაელოდებიან რეალურ ისტორიას ინკების ცივილიზაციის განადგურების შესახებ.

აქტივობა#8-რეალური ისტორია ინკების შესახებ,მინი-ლექცია;

აქტივობის აღწერა-შემდეგ მე ვაგრძელებ რეალურ ისტორიას :1532 წელს ინკების ტერიტორიაზე გამოჩნდნენ დაუპატიჟებელი სტუმრები-ევროპელები პისაროს მეთაურობით, რომელმაც 6000 ინკა კუსკოს ცენტრში ისე გაჟლიტა, რომ თავად ერთი კაციც არ დაუკარგავს.ტყვედ ჩავარდა მმართველი ატაუალპა, რომელმაც ოც დღეში ისწავლა ესპანურად საუბარი და წერა-კითხვა,რაც წარმოუდგენელი იყო წერა-კითხვის უცოდინარი პისაროსთვის.

ფანტასტიკური გამოსასყიდი შეთავაზა ატაუალპამ პისაროს მას შემდეგ, რაც ევროპელთა სიხარბე ოქროს მიმართ დაინახა და შეთავაზა-ერთი ოთახის გავსება ოქროთი და ,,ინდიელთა ქოხის''გავსება ორჯერ ვერცხლით.ამით ინკების მმართველმა თავის თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.ზოგადად, ოქრო ინკებისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა, თუმცა მისგან უნიკალურ ნივთებს/სამშვენისებს ამზადებდნენ.

ატაუალპას სიცოცხლისთვის გაღებული გამოსასყიდი ევროპელებმა რომ გადაადნეს,ოქროს წონა გამოვიდა 6078 კგ, ვერცხლისა კი-11793 კგ.თუმცა ესპანელებმა ატაუალპა მაინც მოკლეს. მისი მოკვლის შემდეგ ესპანელებმა საკუთარი კანონები დააწესეს,რასაც მოყვა ევროპელთა მიერ შემოტანილი აუტანელი გადასახადები,სასახლეებისა და ტაძრების განადგურება,კატორღული შრომა,იმპერატორების მუმიების

დაწვა,ინკების უნიკალური ოქროსა და ვერცხლის ნივთების განადგურება.1572 წელს,ქალაქ კუსკოს მოედანზე თავი მოკვეთეს ინკების უკანასკნელ ბელადს-ტუპაკ ამარუს, რითაც დასრულდა ინკების იმპერია და ,შესაბამისად, ინკების ცივილიზაცია.

მოსწავლეებს ვთხოვ, ამ ტექსტის მაკროსტრუქტურა დააფიქსირონ ცივილიზაციების ხეზე(სასურველი მაკროსტრუქტურა-ევროპელთა შემოსვლას მოჰყვა ინკების უნიკალური კულტურის განადგურება და ამ ცივილიზაციის გაქრობა, თუმცა არა უკცალოდ).

აქტივობის მიზანი- მოსწავლეები გაანალიზებენ ინკების რეალურ ისტორიას და გაასრულყოფილებენ ცოდნას ამ უდიდესი და უნიკალური ცივილიზაციის შესახებ(თუმცა ეს ცივილიზაცია ბევრად ფართო სპექტრით შეიძლება განვიხილოთ).

აქტივობა#9-...და კვლავ ,,საგამოფენო დარბაზი",სიუჟეტიდან/წარმოსახვიდან რეალობამდე-,,ეპიზოდების პარადიგმა"

აქტივობის აღწერა-მოსწავლეებს ვთხოვ, რომ დაუბრუნდნენ საგამოფენო დარბაზს და მათ მიერ შექმნილ პირველ სიუჟეტში შეიტანონ ცვლილება და შექმნან ,,ეპიზოდების პარადიგმა" კონკრეტულ გრაფიკულ ორგანიზატორზე დაყრდნობით.ამასთან ერთად, დანომრილი სურათები გაალაგონ ქრონოლოგიურად.

აქტივობის მიზანი-მოსწავლეებიშექმნიან უკვე რეალურ სიუჟეტს ინკების ცივილიზაციის შესახებ, შეადგენენ ,,ეპიზოდების პარადიგმას" და საგამოფენო დარბაზში განთავსებულ სურათებს ქრონოლოგიურად დაალაგებენ ანუ აღადგენენ ისტორიას სურათების მიხედვით.

აქვე ვთავაზობ **,,ეპიზოდების პარადიგმის"** ნიმუშს:



აქტივობა#10-,,მრავალწახნაგა რეიტინგი”

აქტივობის აღწერა-მოსწავლეებს განვუმარტავ, რომ ,,მრავალწახნაგა რეიტინგი””ერთმანეთისგან მიჯნავს ყველაზე მნიშვნელოვანს, ნაკლებად მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელო ფაქტებს.აქედან გამომდინარე:

-დაასახელეთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი /მოვლენა და გააკეთეთ განმარტება, თუ რატომ მიგაჩნიათ იგი მნიშვნელოვნად;

-დაასახელეთ ორი ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტი და ,ასევე, გააკეთეთ განმარტება, თუ რატომ მიგაჩნიათ ნაკლებად მნიშვნელოვნად;

-დაასახელეთ ერთი უმნიშვნელო ფაქტი და ასევე გააკეთეთ განმარტება;

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები ერთმანეთისგან განარჩევენ მნიშვნელოვან, ნაკლებად მნიშვნელოვან და უმნიშვნელო ფაქტებს,თუმცა აქვე ვაკეთებ კომენტარს იმის თაობაზე, რომ თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო ფაქტი შეიძლება გადაიქცეს ყველაზე მნიშვნელოვნად,თანაც ინკების ცივილიზაციის ფონზე.

აქტივობა#11- მოსწავლეთა შეფასება განმავითარებელი შეფასების რუბრიკასა და მიღწევის რუბრიკაზე დაყრდნობით;

აქტივობის აღწერა-მოსწავლეების ყურადღებას წარვმართავ განმავითარებელი შეფასების რუბრიკასა და მიღწევის რუბრიკაზე.

მიღწევის რუბრიკა:

-თქვენ ვერ შეასრულეთ დავალება;

-თქვენ გარკვეულწილად შეასრულეთ დავალება, მაგრამ ვერ დააკმაყოფილეთ დავალების ყველა მოთხოვნა;

-თქვენ ზუსტად შეასრულეთ დავალების მოთხოვნა;

-თქვენ მოთხოვნაზე უკეთესად შეასრულეთ დავალება;

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით განსაზღვრავენ ,რა შეასრულეს კარგად და რისი გაუმჯობესებაა საჭირო.

აქტივობა#12-საშინაო დავალება-ინკების სახე რაფთ-მეთოდზე დაყრდნობით

აქტივობის აღწერა-თქვენ ხართ დაინტერესებული უძველესი ცივილიზაციებით. ამჯერად თქვენი ინტერესი ინკებს შეეხება.უკვე განხილული მასალისა და მოძიებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით შექმენით ინკების სახე რაფთ-მეთოდზე დაყრდნობით.აქვე, შევახსენებ **რაფთ-მეთოდს:**

რ-ოლი

ა–უდიტორია

ფ–ორმა

თ–ემა

აქტივობის მიზანი–მოსწავლეები საშინაო დავალებით,,ინკების სახე” შეარჩევენ მათთვის სასურველ თემას, აუდიტორიას, ფორმას, მოირგებენ კონკრეტულ როლს და საკითხის მრავალფეროვნად წარმოდგენით ცოდნას აიმაღლებენ ამ უძველესი ცივილიზაციის შესახებ.